ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6017149

ნომერი: AR1910142

თარიღი : 01.07.2022

გაცემის თარიღი : 04.07.2022

გაცნობის თარიღი : 04.07.2022

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბარისახო , N 11ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ჩუტკერაშვილი პ/ნ 11001028978
- ბორჯომი ს. ტაძრისი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: აღნიშნულ ობიექტზე სამსახურის მიერ № 3742064 ბრძანებით გაიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები სასაწყობე და საოფისე შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქციაზე, შესაბამისად ვინაიდან თვენს მიერ ფოტომონტაჟის წარმოდგენილი სამუშაოები არ წარმოადგენს პირველი კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს და აღნიშნულზე მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭიროა სამივე სტადიის გავლა. ამათგან თითოეულზე მიმდინარეობს დამოუკიდებელი წარმოება. მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემის შემდგომ (I სტადია), გასავლელი იქნება II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიები. ვინაიდან თქვენს შემთხვევაში I სტადია უკვე გავლილია (გადაწყვეტილება № 3742064), საჭიროა საკითხი დააყენოთ არქიტექტურული პროექტის შეთანხმებაზე, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების და დადებითი გადაწყვეტილებიშ შემდგომ უკვე შესაძლებელი იქნება III სტადიის გავლა (მშენებლობის ნებართვის გაცემა), ან შესაძლებელია II და III სტადიის ერთად გავლა, რისთვისაც საჭიროა აირჩიოთ სესაბამისი ნომენკლატურა და შეავსოთ სესაბამისი ველები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს აღნიშნული საკითხი და გასცეს მშენებლობის ნებართვა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.